საქართველო

წლიწადი მეხუთე | პარასკევი, 19 ენკენისთვე 1919 წ. № 202 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდამწვარნი დედა ნინო, ძმები რაჟდენ, გრიგოლ და ლევან, მეუღლე ვარო, რძლები ეკატერინე და ვარო მირიანაშვილები, დაი ანნა და სიძე გიორგი მამაცაშვილები, სიმამრი ნიკო და სიდედრი ანანა კარდენახლიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 20 ენკენისთვეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ნიკოლოზ მალაქიას ძის მირიანაშვილის

სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი 11 საათზე. 2—2550—1

ელენე ნიკოლოზის ასული ზუმბულიძე და მარიამ ნიკოლოზის ასული და ლეონ მელქისედეკის ძე მელიქსეთ-ბეგები აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს, რომ კვირას, 21 ენკენისთვეს, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში ს. გურჯაანში (სიღნაღის მაზრისა) დილის 9 საათზე გადახდილ იქნება მათი საყვარელი და დაუვიწყარი ძმისა და ცოლისძმის, სუმის კორპუსის მეექვსე კლასის მოწაფის

დათა ზუმბულიძის

სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი.

(1 2551 1)

აღმასრულებელი კომიტეტი

ვაჭარ-მრეწველთა საბჭოსი, მექარხნეთა, მეფაბრიკეთა, სახელოსნო სამართველოს დეპუტატთა იწვევს

საერთო კრებას

ქვემოდ ჩამოთვლილ ჯგუფების თვით დაბეგვრის მოსაწყობად. კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს

პარასკევს ენკენისთვის 19-ს

1.	მექანიკური და ელექტრონის სახელ.	სად. 7 ს.	მექარხ. საზ. პიროგ. ქ. 6.
2.	საპნის ქარხნები	„ 6 „	„ „ „ „ „
3.	საქსოვი ქარხნები	„ 5 „	„ „ „ „ „
4.	ტყავის ქარხნები	„ 6 „	„ „ „ „ „
5.	მანუფაქტ. მოვაჭრენი	დღის 2 „	ქალაქის სამმართველო
6.	არაყის და სპირტის საწყობები, სააქციზო წიგ. წარმოდგენით	„ 10	მექარხნეთა საზოგადოება
7.	მეტყავენი	„ „ „	სახელოსნო სამართველო მიხ. № 66.

შაბათს ენკენისთვის 20-ს

1.	სტამბები და ლიტოგრ.	„ 6 საათზე	„კავკაზსკო სლოვო“-ს ბინაზე
2.	რესტორანები I—II—III ხარისხისა	დილ. 10 საათზე	„ამირან“-ში პროსპექტ. მელიქაზარ.
3.	რკინეულობის მოვ.	„ 5 „	ქალაქის გამგეობა
4.	თამბაქოს ქარხ.	დღის 1 „	მექარხნეთა საზ. პიროგ. 6
5.	ღვინის სარდაფები	დილ. 10 „	სახელოსნო სამმართ.
6.	მეთარგენი	„ 12 „	„ „ „
7.	მექალბასენი	„ 10 „	„ „
8.	სათამაშოს მაღაზ.	„ 12 „	ბირჟა პუშკ. 5.
9.	მეთევზენი	„ 10 „	სემინარიის ბინაზე პუშკ. ქ.
10.	შეშის საწყობები	„ 7 „	კიკნაძის საწ. მადათოვის კუნძ.
11.	იუველირები	„ 2 „	ქალაქ. სამმართველო
12.	ხალიჩების მაღაზია	„ 7 „.	სახელოსნო კლუბი

გადასახადების გაწერა სწარმოებს საერთო კრების მიერ ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს და ქალაქის სამმართველოს კონტროლის ქვეშ. კერძო პირთა დასაბეგრად მოცემულია მხოლოდ ერთი კვირის ვადა. 1—2552—1

ცხენოსან პოლკს საჩქაროდ ეჭირდება გამოცდილი კაპელმეისტერი

შტაბ-მებუკე

პირობების გაგება შეიძლება პოლკის შტაბში, ნავთლუღში.

1—2553—1

ქართული ლატარეის გამგეობისაგან

მოქალაქენო!

ქართული ლატარიის საბჭოს დადგენილების თანახმად ლატარეის გათამაშება აუცილებლად მოხდება ამა წლის 2 გიორგობისთვეს.

ერთი თვის შემდეგ უნდა დასრულდეს ის დიდი საქმე, რომელიც ერთი წლის წინად დაიწყო და რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს ქართული უნივერსიტეტსა და ქართულ თეატრს. ყველას, ვისაც გულში უღვივის უწმინდესი ნაპერწკალი ხალხისა და სამშობლოს სიყვარულისა, იცის რა დიადი საქმე ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტისა და ჩვენი თეატრისათვის დახმარების აღმოჩენა. მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარება აუცილებელი პირობაა ახლად განთავისუფლებულ ქვეყნის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის. ამ დიდ საქმისათვის საჭიროა ფართო საზოგადოებრივი თანაგრძნობა და დახმარება... სამწუხაროდ ლატარიის საქმეს ბევრი დაბრკოლება გადაეღობა წინ. მაგრამ იგი მაინც უნდა დაგვირგვინდეს და ამიტომ ლატარიის გამგეობა მიჰმართავს ყველა იმ საზოგადოებრივ დაწესებულებათ და პროვინციალურ განყოფილებათ, რომელნიც მას ეხმარებოდნენ, მოწოდებით! გამოვიყენოთ მცირე დრო, რომელიც დარჩა ლატარიის გათამაშებამდე, ინტენსიურ მუშაობისათვის. გამგეობა მიჰმართავს მხურვალე მოწოდებით საქართველოს ყველა მოქალაქეთ. ისწრაფეთ ლატარეის ბილეთების შეძენა და ამგვარად თქვენი წვლილიც გაიღეთ განძრახული დიადი საქმისათვის. 1—184—1

იყიდება

ხე-ტყის სახერხი ქარხანა სრული მოწყობილობით, რომელიც შედგება:

ა) „როზეი და კომპანიის“ სისტემის, თორმეტ ძალის, № 72, ლოკომობილისაგან.

ბ) „რანსომ“-ის სისტემის, სახერხი, თუჯის სტანოკისაგან და სხვა და სხვა მოწყობილობისაგან დადგმული სადგურ ჯუმათთან.

პირობები მოიკითხეთ ხოლომონ ხოშტარიახთან, ქ. ფოთში, გურიის ქუჩაზე.

3—183—2

ექიმ ე. ჩიჯავაძის

ბაქტერიოლოგიური, სერო-დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული

ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად: **სისხლს** (Wassermann‘-ის, Weinberg‘-ის, Widal‘-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Obermeyr‘-ის სპიროხეტები და სხვა). **შარდს, განავალს, ნახველს რძეს, ლორწს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს კუჭის სითხეს და სხვას. აუტოგენიურ ამზადებს ვაქცინას.**

26 მაისის (ოლღის) ქუჩა, გაბაონ შესახვევი № 3 მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5 7 საათ.

15—26988—1

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს გაუქმება

ამ სამინისტროს გაუქმების ამბავი ახალი არ არის. ის ფაქტიურად გაუქმებული იყო დღიდან დაარსებისა.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის უწყებანი საქართველოს დამოუკიდებელ მთავრობის შედგენიდანვე ერთს სამინისტროში მოთავსდა. ამ უწყების ისტორია, მისი მოღვაწეობა და მთავრობის პოლიტიკა ნათლად მოწმობს, რომ მმართველი წრეები ამ შეერთებულს უწყებაში ანგარიშს უწევდენ მხოლოდ პირველ ნახევარს. ისიც იმდენად რამდენათ ეს უწყება გახდა მათთვის ფულის მიმწოდებელ მანქანად და უდავოდ აწვდიდა მათ ბონებს რამდენიც მათ მოესურვებოდათ.

ასეთ პირობებში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ვერ აწარმოებდა საკუთარს პოლიტიკას და ის მართლაც სავსებით მეწველ ფურად გახადეს სახელმწიფოს სხვა ორგანოებისათვის, რომელნიც თავის მოღვაწეობით უფრო ასამარებდენ საქართველოს ფინანსიურ მდგომარეობას, მის სუსტს მრეწველობასა და ვაჭრობას, ვინემ ხელს უწყობდენ მის აღორძინებას და გაძლიერებას.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომ ამ ჟამად წარმოადგენს უბრალო კანცელარიას ფინანსთა სამინისტროსთან და არავინ უწყის რად სტოვებენ ამ კანცელარიას და მის სახელს „ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო“. სახელი, რასაკვირველია ვერც ვერავის მოატყუებს და ვერც რამეს გააკეთებს.

თუ რამ საქმე ებარა ამ უწყებას, ყოველივე გამოაცალეს ხელიდან თანდათან და შეუჩერებლად. ჩამოართვეს მას ტყიურის მრეწველობა, ნავთსადგურების საქმე საომრო მასალის შემოზიდვის საქმე, წყლის ენერგიის—თეთრი ნახშირის საქმე, შემდგომ საგარეო ვაჭრობის ერთი ნაწილი და უკანასკნელად კი, როგორც მთავრობის უკანასკნელი სხდომის ოქმი გვაუწყებს საგარეო ვაჭრობის დანარჩენი ნაწილიც. ეს რასაკვირველია, სრული გაუქმებაა ამ უწყების მაგრამ არავინ იცის რატომ მთავრობა ჯერ კიდევ სტოვებს „ტიტულს ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო“.

ყველა ის საქმეები, რომელსაც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო უნდა აკეთებდეს, სხვა სამინისტროებმა დაარიგეს. ცოტ ცოტა ვგონებ ყველას ხვდა, მაგრამ ყველაზე მეტი, რასაკვირველია, ხომერიკის უწყებამ ირგუნა. საქმე კეთდებოდეს, თორემ ეს უწყება მთელი მისი შენობითა და შტატით მიეკერებინათ ხომერიკის სამინისტროსთვის! სავალალო ის არის, რომ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ეკონომიურს საკითხებში ჩვენი უწყებების მოღვაწეობა ჯერჯერობით იმაში გამოიხატება, რომ საქმეებს სტაცებენ ხელიდან ერთმანეთს და ძველს ქაღალდებს ერთი სამინისტროდან მეორეში ეზიდებიან...

ამ გზით სურთ საქართველოს ეკონომიური აყვავება, მის მწარმოებელ ძალთა აღდგენა და აღორძინება!

უკანასკნელი ცნობები

გერმანული ეროვნული პარტია გერმანიის პრეზიდენტად ჰინდენბურგს ასახელებს.

ესტონეთის მუშები დაჟინებით მოითხოვენ საბჭოთა რუსეთთან ზავს.

ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის მოლაპარაკება ენკენისთვის 16-ს დაიწყო რეველში.

კიევის მიმართულებით საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.

ფინეთში გაფიცვები იზრდება.

კრონშტატზე მოკავშირეთა ჰაეროპლანები დაჰფრინენ.

უკანასკნელი ერთი თვის მთავრობის სხდომების ოქმებს თუ გავიხსენებთ, რაც გაზეთებში იბეჭდებოდა, არ შეიძლია არ შევამჩნიოთ ჩვენს პოლიტიკაში ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. იქმნება ახალი უწყება, რომელსაც „მომარაგების საბჭოს“ უწოდებენ და „ამ მომარაგების საბჭოში“ იყრის თავს თანდათანობით ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ყველა ძაფები. ჯერ არ არის გამორკვეული, რას მოასწავებს ეს ახალი დიდი უწყების წარმოშობა —ჩვენი მთავრობის ნაცადს პოლიტიკასა, თუ საქმე ცუდათ მიდის ერთს უწყებაში, მეორეს გადაეცი, ან ახალი რამ დაარსეო, თუ სხვა რამეს. რასაკვირველია, ამ ახალს „მომარაგების საბჭოს“ არ აქვს არავითარი დებულება, კანონით—განსაზღვრული წესდება და სხ. ისევე, როგორც არ ჰქონდა ამ ძველს სახელოვანს „მომარაგების კომიტეტს“. მაგრამ სამაგიეროდ ძველს კომიტეტს ჰქონდა რამოდენიმე ასეული მილიონის ქონება, რომელიც ფრონტიდან დარჩა. ეხლა ამ ქონებიდან აღარაფერი დარჩენილა. ძველმა კომიტეტმა სწრაფად მოახდინა მისი „ლიკვიდაცია“ და „რეალიზაცია“. ახალს საბჭოს ასეთი ქონება არ აქვს, მაგრამ მას აქვს ისეთი უფლებები, რომ მას ყოველგვარი ქონების მოპოვება შეუძლია.

ახალმა „მომარაგების საბჭომ“ ხელში ჩაიგდო მთელი საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ყოველგვარი საქონლის, რაც მას მოესურვება, ჩამორთმევისა და მისი თავის სურვილზე გაყიდვისა და გატანის უფლება.

ამ საბედისწერო „მომარაგების“ კომიტეტის მოღვაწეობა მარტო გა[illegible] საქონელს შეეხება. ერთმა გასაღა ის რაც საწყობებში იყო, მეორემ ეხლა უნდა [illegible] რაც რამე მოიპოვება საქართველოში უცხოეთში გასატანად გამოსადეგი და [illegible] „ვალიუტა უნდა შექნას“, უცხოეთის საქონელი შემოზიდოს და სხ. ცხადდება მონოპოლიები სხვა და სხვა საქონელზე. ართმევენ მეპატრონეებს მათს საკუთარ საქონელს, რომ უცხოეთში გაიტანონ და გაყიდონ. მთელი ყურადღება იმაზე არის მიპყრობილი, რომ ეს საქონელი, რომელიც ძველმა წლებმა დაგვიტოვეს გაზიდონ, მაგრამ როდესაც ამ ყიდვისა და გაყიდვის წესებს იმუშავებენ, ჰფიქრობენ ისინი თუ არა იმაზე, რომ ყოველივე ეს ხდებოდეს ისე, რომ ახალი საქონლის დამზადებას ხელი არ შეუშალონ? საუბედუროთ ამაზე არავინ ჰფიქრობს. დამზადებული კი ჩვენში ბევრი არა [illegible] გვაქვს. ეს ახალს „მომარაგების საბჭოს“ კიდევ უფრო მალე გამოელევა, ვინემ ძველს „მომარაგების კომიტეტს“ შემდეგ? ალბად ამ ახალს „მომარაგებას“ გააუქმებენ და ახალს უწყებას შექმნიან.

ასეთია ჩვენი მმართველი წრეების შემოქმედება. თუ ამის მსხვერპლი გახდა, სხვათა შორის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, ამაზე მწუხარება არ გვმართებს. ამ უწყებამ თავისი თავი თავიდანვე გააუქმა. ის და მისი ხელმძღვანელები თავიდანვე შეურიგდენ მრავალ ტანჯული იობის როლს. დღეიდან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში ვაჭრობა-მრეწველობის მოსაგონებლად დარჩება მხოლოდ მანქანა, რომელიც ბონების მრეწველობას აჩაღებს და აყვავებს.

* * *

სომხური პრესა

ერობათა ყრილობა

„ნორ აშხატავორ“-ი (№ 194) სწერს:

„ერთი წლის წინად მძიმე და ძნელ წუთებში საქართველოს მთავრობამ და ხელმძღვანელ წრეებმა ცხოვრებაში განახორციელეს ერობის პრინციპი და მოკლე ხანში გაჰფინეს ქვეყნის ყველა ნაწილებში ერობათა მჭიდრო და მტკიცე ბადე. დღეს ამ ერობათა ნამოღვაწარის ერთი წლის შედეგს არ შეიძლება არ მივესალმოთ. მოკლე და დამაბრკოლებელ ხანში გაკეთებულია გმირული საქმე და მისი უშუალო შედეგები მშრომელ და ღატაკ დემოკრატიისთვის. თუ გადავხედავთ წასულ მოღვაწეობას, ცხადად დავინახავთ ერობის ასრულებულ დიდ როლს არა თუ ადგილობრივ ძალების შეგნების და დახმარების საკითხში, არამედ მას დიდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობითაც.

საქართველოს მთავრობის წინ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე დიდი და ძნელი საკითხები იდგა გადასაჭრელად. უნდა დაემშვიდებინა ქვეყანა, მოესპო აჯანყებები, და გარდა ამისა უნდა შეექმნა მტკიცე და დემოკრატიული ხელისუფლება.

და ყველა ეს შესრულდა საქართველოს ადგილობრივ დაწესებულებათა დახმარებით და მონაწილეობით და თუ ეხლა საქართველოს მთავრობა მოქმედობს გადაჭრით, და ძლიერათ ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ ერობათა ნდობითა და შეწევნით.

ამას უნდა მოჰყვეს ახლა თვით ადგილობრივ ცხოვრების მოწესრიგება და განსაკუთრებულ საკითხების გადაჭრა. იმედია, რომ ყველა ეს დამთავრდება გამარჯვებით წარსულის მაგალითით და ადგილობრივ მოღვაწეების გამოცდილებით“..

* * *

მთავრობის წრეებში

11 ენკენისთვის სხდომა.

დახმარება ომში შრომის უნარ დაკარგულთათვის.

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 100.000 მან. სამხედრო ფონდიდან, ომში შრომის უნარ დაკარგულ სამხედრო პირთა და მათი ოჯახებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ.

სამხედრო უწყების მოსამსახურეთა საპენსიო პროცენტების შემოღება.

კანონი მოხელეთა ჯამაგირებიდან საპენსიო პროცენტების დაკავებისა ნაგულისხმევი სახელმწიფო კონტროლიორის მიწერილობაში სამხედრო სამინისტროსადმი 25 მკათათვის თარიღით 3090 № ით ვრცელდება სამხედრო უწყების მოსამსახურეებზედაც.

საავიაციო შენობების აგებად.

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 4.584,000 მან. სახელმწიფოს საზღვრების დასაცავად და გასამაგრებლად არსებულ 10 მილიონიან ფონდიდან სამხედრო ავიაციის საჭიროებისათვის შენობების ასაგებად და მათ მოსაწყობად.

ხარჯები სამხედრო დაწესებულებათათვის.

მოხსენება სამხედრო სატუსაღო, სასამართლოსი და მასთან არსებულ დაწესებულებათა და აგრეთვე სამხედრო სამკურნალო დაწესებულებების დროებით სამხედრო უწყების ხარჯზე დატოვების შესახებ მოწონებულ იქმნას და მასში აღნიშნულ დაწესებულებათა შესანახად საჭირო ხარჯები გაწეულ იქმნას სამხედრო უწყების მიერ.

ახალსენაკ-სოხუმის ტელეგრაფი

სამხედ. სამინისტროს განკარგულებაში ახალ სენაკიდან სოხუმამდე ტელეგრაფის გასაყვანათ გადადებული 650.000 მან. გადარიცხულ იქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში და აღნიშნულ პუნქტების ტელეგრაფით შეერთება დაევალოს რესპუბლიკის ფოსტა - ტელეგრაფის უფროსს,

საქონლის გაცვლა აზერბაიჯანთან

საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ ერთმანეთისთვის ზოგიერთი საქონლის ომამდე არსებულ ფასებში დათმობის თაობაზე—შეთანხმებული კომისიის მიერ შემუშავებული ფასები უარყოფილ იქმნას და წინადადება მიეცეს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს აზერბაიჯანში ბ-ნ ალშიბაიას, შეუთანხმდეს აზერბაიჯანის მთავრობას, რათა საქართველოს მთავრობის 22 ივლისს დადგენილების (ზემოხსენებულ საგანზე) სისრულეში მოყვანის დროს იხელმძღვანელონ 1914 წლ. არსებულ ფასებით და ჩვენგან გაცემული საქონლის საფასურში მოგვეცეს ერთ წლიდებული „დოლევაია ნეფტ“-ი.

ტყავეულების მიცემა აზერბაიჯანისთვის

მიეცეს აზერბაიჯანის მთავრობას 2000 წყვილი ფეხსაცმლის სამყოფი დამუშავებული მაგარი ტყავის მასალა 2 ძეობ. გირვანქის ანგარიშით წ[illegible]ლ წყვილ ფეხსაცმელზე, სულ—1125 ფუთი; ტყავი გაიცეს ნაწილობრივათ ფეხსაცმელების დამზადებისთანავე.

ნეიტრალურ ზონის შესახებ.

მთავრობის წარმომადგენლებად ნეიტრალურ ზონის საკითხის შესახებ სომეხ ქართველთა კონფერენციაზე დაინიშნონ შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ს. საბახტარიშვილი და დამფუძნებელ კრების წევრი სიმონ მდივანი.

დელეგაციის წასვლა იტალიაში.

მოხსენება საქართველოს დელეგაციის იტალიაში წასვლის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად.

ოდესის საკონსულოს ხარჯის გასტუმრება.

გადაიდოს საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 200 000 მან. გადასაცემად სოლომონ ლანდაუსთვის, რომელსაც აღნიშნული თანხა მიუცია სესხად ოდესაში საქართველოს გენერალურ კონსულისთვის. ეს თანხა გაღებულ იქმნას სამხედრო ფონდიდან, როგორც დახარჯული ტყვეებისთვის.

* * *

ბზიბის ხიდის აფეთქების განზრახვა

11 ენკენისთვეს, 22 ს. სოფელ აცში მოჰკლეს პეტრე ემუხვარი, რომელიც რუს ოფიცერ სოტნიკ კრავჩენკოსთან და აბხაზ გაბელიასთან ერთად სოჭიდან მოტორიან ნავით მოვიდა. ნავით მათ მოიტანეს იარაღი, ყუმბარები და განზრახული ჰქონდათ მდ. ბზიბის ხიდის აფეთქება. კრავჩენკო დაპატიმრებულ იქმნა და საგანგებო სასამართლოს გადაეცა. გაბელია გაიქცა. მის შესაპყრობად ყოველივე ღონისძიებაა მიღებული.

გენ. ჯიჯიხია.

* * *

ინგლისის ჯარის წასვლის გამო

„ტიმეს“-ის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია მოხსენება ო‘კონნარის და ენერინ ვილიამსისა, რომელიც მიმართული იყო ბრიტანეთ-ამერიკის კომიტეტისადმი; მოხსენების საგანია—ინგლისის ჯარის ევაკუაცია ამიერკავკასიიდან. ავტორები იწყებენ ამიერ-

კავკასიის ინგლისის ჯარების მიერ ოკუპაციის ისტორიიდან, იხსენებენ იტალიის უარს ამიერ კავკასიაში ჯარების გამოგზავნის შესახებ, აცნობებენ საზოგადოებას სომეხ-მაჰმადიანთა უთანხმოებას და იარაღით შეჯახებას და ბოლოს ამბობენ:

ერთად-ერთი გზა, რომლითაც უნდა წავიდეთ—ესაა, ულის სიმძიმის ზიდვა ბრიტანეთისა და შეერთებულ შტატების შეერთებულ ძალებით. თუ ამერიკას არ შეუძლია ჯარების გაგზავნა კავკასიაში, მას ყოველ-შემთხვევაში, ძალუძს თავს იდვას ჯარების შესანახი ხარჯის ნაწილი.

თუ ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ, მაშინ ინგლისის ჯარის ამიერ-კავკასიიდან წასვლასთან ერთად, უკანასკნელზე ცივილიზაციის წარმომადგენლების კონტროლიც შეწყდება.

ქრონიკა

◆ **დამფუძნებელი კრების სხდომა.** დღეს დილის 11 საათზე გაიხსნება დამფუძნებელ კრების მეორე სესიის პირველი სხდომა.

◆ **სამხედრო წესები დუშეთის მაზრაში.** მთავრობის დადგენილებით დუშეთის მაზრაში 13 ენკენისთვიდან სამხედრო წესები გამოცხადდა.

◆ **თოფჩიანის ჩამოსვლა** საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე თოფჩიანი, რომელიც ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში იყო წასული სომეხთა მდგომარეობის გასაცნობათ, გუშინ თბილისში დაბრუნდა.

◆ **ახალი წიგნი.** მთავრობამ თავისი ინიციატივით გამოსცა ახალი წიგნი „მასალები ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების ისტორიიდან“. წიგნი იყიდება ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების მაღაზიაში.

◆ **დასაფლავება.** გუშინ დილის 11 საათზე დაასაფლავეს გენერალ ბარათოვისა და ოდიშელიძისათვის ყუმბარის სროლის დროს დახოცილნი შოფერი ვ. ქუჩიაშვილი და მისი თანაშემწე შ. სამათაძე. გამოსვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ **მადლობის გამოცხადება.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დააჯილდოვა და მადლობა გამოუცხადა მილიციის უფროსს სულაქველიძესა და სისხლის სამართლის მილიციის უფროსს ფაჩულიას. გენ. ბარათოვისა და ოდიშელიძისათვის ყუმბარის მსროლელთა შესაპყრობლად ენერგიულ ზომების მიღებისათვის.

◆ **საქართველოს სამხედრო გზის დაცვა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დუშეთის მაზრის ერობას აცნობა რომ მას ნება [illegible] სამხედრო გზის დასაცავად 40 მილიციელი იყოს შტატ ზევით სამინისტროს ხარჯზე.

◆ **სომეხ ლტოლვილთა გატარება საქართველოზე.** სომხეთის დიპლომატიურ მისიამ საგარეო საქ. სამინ. წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა საქართველოზე გატარებულ იქმნას აზერბაიჯანიდან სომხეთში მიმავალ 55 სომეხი—ლტოლვილი. რომელნიც ამ ჟამად, სად. ცალოლში არიან შეჩერებულნი იმ მიზეზით, რომ მათ სათანადო მოწმობა არა აქვთ საქართველოს მთავრობისაგან. ეს შუამდგომლობა გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც ნება დართო სომხეთში გაუშვან ზემოხსენებული ლტოლვილები იმ პირობით კი, რომ ვაგონებზე დარაჯები გააძლიერონ, რათა არც ერთი ლტოლვილი არ დარჩეს საქართველოში.

◆ **საქონლის ჭირი რაჭაში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ რაჭიდან, რომ იქ საქონელს უცრიან არა საქართველოს დამზადებულ შრატით, არამედ სტამბოლის შრატით, რაც მიზანს ვერ აღწევს, რადგან, როგორც გამორკვეულია საქართველოში საქონელს რგებს მხოლოდ ადგილობრივ დამზადებული შრატი. სამინისტრომ განკარგულება გასცა, რათა საქონელი მხოლოდ საქართველოში დამზადებულ შრატით აიცრას.

◆ **გაზეთი „მშაკი“** მოკლე ხანში თბილისში განზრახულია შეჩერებულ გაზეთ „მშაკის“ გამოცემის განახლება.

◆ **ნიხრი.** ძროხისა და ცხვრის ხორცზე აწეულია: პირველი 10 მანეთით გირვ., ხოლო მეორეზე—13 მან. გირვანქა.

◆ საჭიროა ორი მასწავლებელი კავკავის ქართულ სკოლაში. ჯამაგირი თვეში 1500 მანეთი გათბობით და ბინით. მიეცემად საგზაოც. თხოვნები მიიღება წ. კ. გ. საზ. მთავარი გამგეობის სახელზე. „დამფ. კრების ქუჩა, № 5).

◆ კათალიკოზის წირვა კვირას, 21 ენკენისთვეს დიდუბის ეკლესიის ტაძრის დღესასწაულზე მწირველი ბრძანდება ამ ეკლესიაში მათი უწმიდესობა კათოლიკოსი ლეონიდი.

სხვა და სხვა ამბები

◆ **დატუსაღება.** სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა ნიკ. ტერ-ბარდიგულიანცი, რომელსაც ტრომპე თავართქილაძის ბინიდან 10,000 მანეთის სხ. და სხ. ნივთები მოუპარავს. მას ნივთები აღმოაჩნდა.

◆ **იარაღის აღმოჩენა.** სისხლის სამართლის მილიციამ, მოედნის შესახვევში მცხოვრებ ოგანეს ტერ-ხაჩატუროვის ბინაზე აღმოაჩინა რამოდენიმე ვინტოვკა, რამოდენიმე ასი პატრონა, რევოლვერები პატრონებით.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომრის მეთაურში კორრექტურული შეცდომებია: მოღალატე მუშაობას, უნდა იყოს: **მოღალატურ მუშაობას**; წერები, უნდა იყოს: **წრეები**; არ იხილოს, უნდა იყოს: **მან იხილოს**.

სამხატვრო ქრონიკა

◆ **სახელოსნო კლუბი.** ორშაბათს, 22 ენკენისთვეს. სახელოსნო კლუბში იმართება სამუსიკო სალიტერატურო საღამო რომელშიც მონაწილეობას იღებენ: ვასილ ბარნოვი, ილია ნაკაშიძე, პოეტები: დუტუ მეგრელი, შიო მღვიმელი, გალაკტიონ ტაბიძე. გიორგი ქუჩიშვილი, დამფუძ. კრების წევრი ი. ირემაშვილი პროფ. ენრიკო ბროჯი და სხვ.

სასამართლო

გუშინ 18 ენკენისთვეს საგანგებო სასამართლოში დაიწყო საქმის განხილვა კობიაშვილის ბარბაქაძის სხილაძისდა ბერიძის, რომელთაც ბრალათ ედებათ ყალბი ასიგნებით ფულის გატანა ხაზინიდან.

ბრალდებულთა სკამებზე სხედან: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კობიაშვილი, პარმენ იობის ძე ბარბაქაძე, გიორგი ევნატეს ძე სხილაძე და მინა გიორგის ძე ბერიძე.

მოწმეებათ გამოწვეულნი არიან: სახელმწიფო კონტროლი ფ. გ. გოგიჩაიშვილი, თბ. ხაზინის ხაზინადარი ვ. ა. კორინთელი, ხაზინის მთავარი ბუღალტერი ნ. ე. ნიორაძე, ი. მ. დეკანოზიშვილი, დ. ა. ქარუმიძე, მ. ბ. მაჰვარიანი, პ. გ. ციციშვილი, ა. ვ. ზედგინიძე, ა. ვ. პავლოვი, ლ. ვ. კოზირევი, პ. ი. ფონ ალშერი. ბრალდებულ ბერიძის მხრივ ფინანსთა მინისტრი კ. პ. კანდელაკი, ფინანსთა და ვაჭრობა მრეწვ. სამინისტროს დირექტორი დ. გ. აბხაზი, ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის ნაწილის გამგე ვ. ბ. ღლონტი, ი. ს. მენაძე. სისხლის სამართლის მილიციის უფროსი პ. ზ. პაჩულია. ყოფილი თავად აზნაურთა წინამძღოლი კ. ნ. აბხაზი. ბრალდებულ ბერიძეს იცავენ: შ. ვ. მესხიშვილი და გრ. გიორგაძე. სხილაძის მხრივ ნაფიცი ვექილი პ. ქავთარაძე, ბარბაქაძის მხრივ ნაფიცი ვექილი ტურკევიჩი, კობიაშვილის მხრივ ი. მ. დოლუხანოვი.

საქმის განხილვა დაიწყო დილის 10 ს. და 40 წ. თავმჯდომარის შეკითხვის შემდეგ სცნობენ თუ არაბრალდებულნი დამნაშავეთ ყველა თავს დამნაშავენი თავს დამნაშავეთ სცნობენ გარდა ბერიძისა. მოწმეთა ფიცის ჩამორთმევის შემდეგ იწყება მათი დაკითხვა. პირველათ დაკითხულ იქმნა ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი ბ-ნი კანდელაკი.

აზერბაიჯანი

კონსულის დარბაზობა.

ამერიკის ვიცე კონსულმა რანდოლფმა დრაგომანების თანხლებით ინახულა ენკენისთვის 16 ს პირველ საათზე აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი საფაროვი.

სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია.

სახალხო განათლების სამინისტრომ ბაქოს გუბერნატორს სთხოვა, რომ მან შესაფერი განკარგულება გასცეს თავის ხელ-ქვეითებს რომ ისინი შევიდნენ სპეციალ მათთვის დაწესებულ თურქულ ენის კურსებზე.

ეს გამოწვეულია იმ მოვლენით რომ ახლო მომავალში მოსალოდნელ ნაციონალიზაციის შემდეგ თურქულის არა მცოდნეებს დაითხოვენ.

მთავრობის გადადგომა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნასიბ-ბეი უსუბბეკოვმა პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა წერილით, ამბობს, რომ დენიკინის საფრთხის შესახებ კამათის დროს, დიდი აზრთა სხვადასხვაობა აღმოჩდა იმ პარტიებს შორის, რომელნიც ამდენხანს შეთანხმებით მოქმედობდნენ. სოციალისტურ და „ეხრარი“-ს პარტიების მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციაში, არ უცხადებდნენ სრულ ნდობას მთავრობას, ამიტომ პარლამენტში მთავრობის საყრდენი ცენტრი შეირყა.

სთვლის რა ასეთ მდგომარეობას კაბინეტისას ანორმალად უსუბეკოვს შეუძლებლათ მიაჩნია მთავრობაში დარჩენა და სთხოვს პარლამენტს დააკმაყოფილოს მისი თხოვნა გადადგომის შესახებ.

უსუბბეკოვის განცხადებას 16 ენკ. შეიტანდნენ პარლამენტში.

ზოგიერთი აზრით, უსუბბეკოვის თხოვნას არ დააკმაყოფილებენ.

შავი არშია.

ბაქოს აღების წლის თავზე „ზნამია ტრუდას“ მორიგი ნომერი შავი არშიით გამოვიდა.

წლისთავის დღესასწაული.

ბაქოს აღების წლის თავის გამო სანაპირო ქუჩაზე გაიმართა აზერბაიჯანის ჯარების აღლუმი. სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა შესწყდა და არც გაზეთები გამოსულა.

პეტროგრადის წინააღმდეგ ოპერაციებს სტოვებენ

ჰელსინგფორსიდან მოსული რადიო გადმოგვცემს ფინეთის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ; ჰფიქრობენ, რომ ამ ბოლო ხანებში მოკავშირეთა მიერ ფინეთში მრავლად შეზიდული სამხედრო მოსართავი, რუს მოხალისეთა ჯარს გადაეცემა, რადგან ფინეთის პრემიერად პროფესორი შტალბერგის დანიშვნა სრული გარანტიაა იმისა რომ ფინეთი ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაზე ხელს აიღებს.

ჰელრინგფორსის საფრანგეთის მისია ამ აზრს სრულიად იზიარებს.

პოლკ. ჰასკელის წინადადება სომხეთისადმი

პოლკ. ჰასკელმა სომხეთის მთავრობას შემდეგი წინადადება გაუგზავნა:

„ამასთანავე გიდგენთ თქვენ იმ პირობებს, რომლის მიხედვითაც უნდა დაწესდეს შარურ-დარალაგეზის და ნახიჩევანის მაზრებში ნეიტრალური ზონა.

ეს საკითხი განიხილეს პოლკ. ჰასკელმა და აზერბაიჯანის პრემიერ მინისტრმა მარიამობისთვის 29 ს 1919 წ. და შემდეგ შეთანხმებას მიაღწიეს:

1) შარურ-დარალაგეზის და ნახიჩევანის მაზრებში უნდა დაწესდეს ნეიტრალური ზონა.

2) ზონას უნდა მართავდეს ამერიკელი გენ. გუბერნატორი, რომელსაც პოლკ ჰასკელი დანიშნავს.

3) ადგილობრივი სამართველო მაჰმადიანთაგან უნდა შესდგებოდეს, გარდა იმ ადგილების, სადაც უმრავლესობა სომხებისაა.

ამის რამორკვევა გენ. გუბერნატორის მოვალეობას შეადგენს.

4) სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გამოიყვანონ თავიანთი ჯარები და არც ერთი ნაწილი ნაწილი არ უნდა შევიდეს შიგ თუ ამას თვით გენ. გუბერნატორი არ მოითხოვს.

5) სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გამოიწვიონ თავიონ თავიანთი აგენტები და სხვა პირნიც, რომელნიც ხალხის აღელვებას ხელს უწყობდნენ.

6) აზერბაიჯანმა და სომხებმა 1-ლ ენკენისთვემდე დაპატიმრებულთა სრული ამნისტია უნდა გამოაცხადონ.

7) ნეიტრალურ ზონაში ადგილობრივი მოსამსახურენი გენ. გუბერნატორის მიერ ინიშნებიან.

8) აზერბაიჯანის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ ნეიტრალურ ზონის და ერივანის მაზრის მოსახლეობის დასამშვიდებლად.

9) სომხეთის მთავრობა უნდა სცდილობდეს ზანგეზურის სომხობის დამშვიდებას.

10) სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებმა უზრუნველ უნდა ჰყონ მათ ფარგლებში სომეხ-მაჰმადიანთა ქონება და სიცოცხლე.

მე-11—12—13—14 და 15 მუხლი ეხება მათ ურთიერთ-შორის დამოკიდებულებას, რკინის გზას, სურსათს და სხვას.

16) სომხეთსა და ნეიტრალ ზონის საზღვრად ითვლება „მგლის კარი“

17) ნეიტრალურ ზონის ხარჯები უნდა იფარებოდეს ადგილობრივ გადასახადებიდან. საჭირო თანხა აზერბაიჯანის ხაზინიდან უნდა იყოს ნასესხები ამერიკის გენ. გუბერნატორის კონტროლით.

18) სკოლებში სწავლა ჩვეულებრივად უნდა სწარმოებდეს.

19. ნეიტრალურ ზონაში სინდისის თავისუფლებაა გამოცხადებული.

ესტონეთში

(ბოლშევიკური რადიო)

მოსკოვი. ენკ. 17. ესტონეთის პროლეტარიატი თავისი მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვს დაუყოვნებლივ ზავის შეკვრას საბჭოთა რუსეთთან. ესტონეთის თითრი ჯარი ლონდონის და პარიზის ბანკირების ინტერესებისთვის ბრძოლაზე უარს აცხადებს. არის სხვა მოტივები, რომელიც აიძულებს ფინეთის ყურის ჩვენ მტრებს ჩვენთან ზავი შეკრან. მეორე მხრით, ბურჟუაზიულ ესტონეთს ეშინია მეზობლობა-სოციალისტური ქვეყნისა, ვინაიდან თავისი ძალა უფლების განმტკიცება არ შეუძლია. ჩვენ არ გაგვიკვირდება, თუ ჩვენი წინადადება არ იქნება მიღებული.

ბოლშევიკების ინფორმაცია ინგლისელებზე

გუშინდელი ბოლშევიკური რადიო შემდეგს იუწყება:

ინგლისის პროფესიონალური კავშირის კრილობაზე დიდი ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა რეზოლიუცია: რომელშიც მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის ბლოკადის მოხსნას და ლოიდ-ჯორჯის მთავრობის გადადგომას. უკეთუ ეს დადგენილება მიღებულ არ იქნება, მას პასუხი გაეცეს გაფიცვებით. ლონდონიდან მოსული დეპეშა იუწყება: სამხედრო დეპარტამენტი ოფიციალურად აცხადებს, რომ არხანგელსკის ფრონტიდან სულ მოკლე ხანში წამოყვანილი იქნება ინგლისის ჯარი.

მეორე დეპეშა იუწყება, რომ ამიერ-კავკასიიდან ინგლისის ჯარი მიდის. იმავე დროს ინგლის[illegible]ები კრონშტატზე, პეტროგრადზე შეტევას ასუსტებენ.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ენკენისთვის 17, ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. რევოლუციონური მოძრაობა დანიაში დაიწყო. დანიის ბურჟუაზია შიშით მოელის შემოდგომაზე მოძრაობის განვითარებას. ამერიკის მუშათა რევოლიუციონური სულიერი განწყობილება გაფიცვებში გამარჯვების შემდეგ განმტკიცდა. რეველში ნავთსადგურის მუშებმა გაფიცვა დაიწყეს. რიგაში კომუნისტები მოწოდებებს და არალეგალურ გაზ. „ბორბას“ ავრცელებენ. ბერლინში ჩხერკის დროს აღმას. კომიტეტის შენობიდან გაიტანეს ლიტერატურა საბჭოთა ახალი არჩევნების შესახებ და მრავალი მიწოდებები. შენობა სამხედრო თვალყურის ჯარმა დაიჭირა. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენი შეტევის შემდეგ მტერი უკან იხევს. აქტიუბინს ტაშკენტ - ყიზილარვატის გზა სრულიად მექვითებულია. ვლადიმირის, პენზის, ვიტებსკის, ნიჟნინოვგოროდის და ყაზანის გუბერნიაში დამზადებული ფეხსაცმელები მხოლოდ მუშებს გადაეცემა.

კრონშტადზე დაფრინავენ.

მოსკოვი. ენკ. 17. ქ. კრონშტატზე მტრის ჰაეროპლანების ფრენა არ შეწყვეტილა. ფრენამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. გუშინ კრონშტადზე „ილია მურომცის“ ტიპის 46 ჰაეროპლანი გამოჩდა ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს უთავბოლოდ ისროდენ. სჩანს მტრის მიზანია მცხოვრებთა შორის ტერორის მოხდენა.

ანარქია კიევში.

გომელი, ენკ. 15. „ვეჩერნიე ოგონი“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს კიევის სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა ბრედოვმა განაცხადა, რომ ძალმომრეობასთან, მტაცებლობასთან და მკვლელობასთან ბრძოლა ძნელია. კიევში მკვლელობა დღითაც ხდება.

ჩეხების აღელვება.

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებამ ნახშირის რაიონის ტაშენის სილეზიასთან და პოლონეთთან შეერთების შესახებ, მაგრამ იმ უფლებით, რომ ჩეხოსლოვაკებს ნება ეძლევათ ნახშირის მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ, ჩეხებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. პრაგაში ამის გამო დიდი დემონსტრაცია მოხდა. პრაგაში ქალაქის გამგეობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია რომელიც ერთობ მკაცრი კილოთი არის გამოთქმული. საპროტესტო მოძრაობამ ზოგიერთ ადგილებში გაფიცვების სახე მიიღო. პრაგაში საერთაშორისო კონფერენციის წარმომადგენელმა ამის გამო გაფიცულებთან მოლაპარაკება დაიწყო და სთხოვა მათ მუშაობის განახლება, ვინაიდან ტეშენის საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. „ჩეშსკაია გაზეტა“-ს აზრით: თუ ტეშენი პოლონეთს გადაეცეს მეოთხედი მილიონი ჩეხებისა იძულებული იქნება თავისი ბინა მიატოვოს და ქუჩის ანაზარად გახდეს. ჩეხებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ პოლონელების დამონება. გერმანელების გაზეთი „პრაგერ-ტაგებლატი“ ჩეხის თვალსაზრისს უერთდება ტეშენის საკითხის შესახებ და აღნიშნავს რომ თუ ჩეხო სლოვაკიას არ ექნება შეძლება ისარგებლოს ტეშენის ნახშირით, მაშინ მთელი მეტალურგიული მრეწველობა შეჩერდება.

შვეციის მემარცხენე სოციალისტები.

შვეციის მემარცხენე სოც.-დემ. პარტიამ სურვილი გამოსთქვა კომუნისტურ ინტერნაციონალს შეუერთდეს.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პოლკ. ჰასკელის მუქარა.

პოლკ. ჰასკელი, რომელიც ბაქოში იმყოფებოდა, გაზ. „Утро Юга“-ს გადმოცემით დაემუქრა აზერბაიჯანის მთავრობას, თუ არ შეწყდება ქურთების და თათრების თავდასხმა სომხებზე, პასუხისმგებლობაში მისცემს აზერბაიჯანის მთავრობის წევრებს. ამ განცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობაზე. („ნ. აზბ.“).

პოლონელების ორი ახალი უნივერსიტეტი.

პოლონეთის მთავრობამ გახსნა ახალი უნივერსიტეტი ლუბლინში და პოზნანში. („ნ.-აზბ“.).

ოსმალეთის მთავრობა და დიდი ბოროტმოქმედნი.

„ნ.-აზბ.“-ი გადმოგვცემს, რომ ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვს, რადგან თალათის, ენვერის და ჯაულთ ბეის სიკვდილით დასჯა შესრულებაში არ არის მოყვანილი, მიმართოს ანტანტს თხოვნით რათა იგინი დასჯიდგან განთავისუფლებულ იქმნენ.

პოლონელების ახალი ფული.

პოლონეთში ახლო მომავალში ახალი ფული გამოვა, სახელად „ზლოტ“ უწინდელ მარკას მაგივრად, და ეღირება ერთი ფრანკი. მთავრობას შეუკვეთავს დასაბეჭდათ 8 მილიარდის ქაღალდის ფული ლონდონსა და პარიზში („ნ. აზბ.“).

ივრის არხი

წყალთა სამმართველო შეუდგა მდ. ივრის მარჯვენა მხარზე ივრის ველის მოსარწყავად არხის გაყვანის წინასწარ გეგმის შემუშავებას. პროექტი ისეა ნაგულისხმევი, რომ უნდა მოირწყოს 40 ათასი დესეტინა მიწა. არხის ერთ ალაგას მოწყობილი იქნება უზარმაზარი აუზი, რომელშიც 5 მილიონ კუბიკურ საჟენის რაოდენობის წყალი შეინახება, რათა გვალის დროს როდესაც მდ. იორზე წყალი ძალიან მცირდება არ შესწყდეს ველის მორწყვა. ამას გარდა მოწყობილ იქნება ჰიდრო ელექტრონის სადგური 14 ათას ცხენის ძალისა. სხვათა შორის ეს ძალა გამოყვანილ იქნება მახლობელ სოფლებში ელექტრონის სინათლის გასაყვანად. 1914 წ. გამოანგარიშებით არხის გაყვანა 8 მილიონი მანეთი დაჯდება, ხოლო ამ ჟამად გაცილებით მეტი.

სააქციზო მოხელენი და სახელმწ. სალარო

სახელმწიფო სალაროს ფინანსიური სისუსტის ერთი მიზეზი ა ის მოხელეთა უმოქმედობა სამსახურში. აქ შევეხები ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეების ვალდებულებას; პირველად დავიწყებ საქციზო დაწესებულებიდან: საქციზო მოხელეთა სამსახურში უმთავრეს მოვალეობას შეადგენს უბაჟოთ და უაქციზოდ საზღვარ გარეთიდან შემოტანილ საქონლისა და საიდუმლოდ მოწყობილ ქარხნების აღმოჩენა, თამბაქოს ფარულ საჭრელ ქარხნისა, ასეთივე პაპიროსის საკეთებელ სახელოსნოსი, კონიაკისა და სხვა მაგარ სასმელების უაქციზოდ [illegible] და სხვა მრავალი, რომლებიც სალაროსათვის მილიონობით ზარალი მოაქვთ ავნუსხავთ სინამდვილეს ციფრებით:

კანონიერი ქარხანა ერთ გირვანქა დაჭრილ თამბაქოში აქციზს იხდის 60 მანეთს, ხოლო ფარული კი არც ერთ კაპეიკს.

ფარული ქარხანა რაც უნდა პატარა იყოს ხუთ ფუთ თამბაქოს ფოთოლს დაჭრის დღეში. კანონიერი ქარხანა ხუთ ფუთ დაჭრილ თამბაქოში აქციზს იხდის 12000 მანეთს, ფარული კი არა, ვინაიდან ის კანონის გარეშე-ქურდულად ამზადებს მას და ასე ქურდულად ყიდის. დღეში თუ ერთ ქარხანას 12000 მანეთი ზარალი მოაქვს სალაროსათვის წელიწადში ზარალი მილიონამდე ავა. პაპიროსის სახელოსნოც ასეა. პაპიროსზე აქციზი მეტია, ვინემ თამბაქოზე, 1000 ცალი პაპიროსზე, რომელიც არ აღემატება ერთი გირვანქა თამბაქოს წონას, აქციზი 100 მანეთია. სახელოსნო, რაც უნდა პატარა იყოს დღეში 15000 ცალი პაპიროსს გააკეთებს. ფარულ სახელოსნოებში მარტოდ მარტო უაქციზო თამბაქოს ხმარობენ, რადგანაც ისეთი თამბაქო სამოცი მანეთით იაფია გირვანქა, ვინემ კანონიერი და მყიდველებიც სიაფისათვის ამას ეტანებიან, რაც დიდ კონკურენციას უწევს კანონიერი თამბაქოს ქარხნების აღებ-მიცემას, სპობს მის არსებობას, რითაც ეცემა პრესტიჟი და შემოსავალი სალაროში.

ხსენებულ საიდუმლო ქარხნების გამრავლებას ერთის მხრით ხელი შეუწყო საქციზო მოხელეების უმოქმედობამ და მეორეთი—ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ, უკანასკნელმა აღკრძალა საზღვარ გარედ კანონიერ ქარხნებში დამზადებული საქონლის გატანა, ამით ისარგებლეს, გაიტანეს ფარულ სახელოსნოებში დამზადებული საქონელი საზღვარ-გა[illegible] ქრთამის საშუალებით, რა[illegible] მოწმობს 25 მარტს 250 №-ით [illegible] დაწერილი ოქმში ჩვენება [illegible] კარაპეტ ოჰანესის ძე კირაკოსიანცისა *) რომელიც ამბობს: „თბილისში ასზედ მეტია საიდუმლოდ მოწყობილი თამბაქოს ქარხნები. თამბაქოს მეტი წილი ჩუმად სომხეთში მიდის. ფოთოლს მექარხნეები ყიდულობენ თბილისში და კახეთში. კახეთიდან თამბაქო ქრთამით ჩამოაქვთ, თბილისშიაც მრავალ ადგილასაა თამბაქოს საიდუმლო საწყობიო. აქციზის მოხელე თავისი მოვალეობის ღირსებაზე, რომ დადგებოდეს, აღმოაჩინოს ასეთ ქარხნები, დაბეჭდოს ის აწეროს საქონელი და ოქმი კანონს გადასცეს, მაშინ კანონი მექარხნეს, გარდა პატენტისა, ჯარიმასა, საქონლის ჩამორთმევისა და ციხისა, ყოველ თითეულ გირვანქა დაჭრილ თამბაქოში, ნაცვლად ერთ ზომა აქციზი 60 მანეთისა, ის ათ ზომა აქციზი—600 მანეთს გადაახდევინებს და ამით ორნაირ მოგებას მოუტანს სალაროს: ერთი საიდუმლო ქარხნის მოსპობით, რომელიც სახელმწიფოს დასაზარებლად თავის ნაწარმოებზე აქციზს არ იხდის, და მეორე დამზადებულ საქონელზე ათ-ზომა აქციზის გადახდით. მაგრამ მექარხნეები თუ ჩაუვარდნენ ხელში აქციზს, ფულს არ დაზოგვენ, ათასობით და ათი ათასობით გაიღებენ, რომ თავი დააღწიონ კანონის სისასტიკეს. შეიძლება მკითხველი შემეკითხოს: წინეთ—ძველ მთავრობის დროს იყო თუ არა საიდუმლო ქარხნები?

როგორ არა, იყო, მაგრამ ძლიერ ცოტა და ისიც აქა-იქ, მივარდნილ ადგილებში, სადაც აქციზი წელიწადში ერთხელაც არ შეივლიდა. ძველი მთავრობა მოხელეს მოქმედებას სასტიკად ეპყრობოდა, სამსახურში მიღებისათანავე ხატის წინ ფიცს ჩამოართმევდა, რომ თავისი დანიშნულებისათვის არ ეღალატნა, ამასაც არ ჯერდებოდა, მოხელეს რკინის დისციპლინით ზღუდავდა, დანაშაულისათვის სამსახურიდან ითხოვდა, ციხეში ალპობდა, ციმბირში ასახლებდა, სახრჩობელაზე აჰყავდა, მაგრამ მოხელეები მაშინაც ახერხებდნენ ჩუმად, ხელის უკან მობრუნებით ქრთამის აღებას და ეხლა, როცა თავისუფალ რესპუბლიკამ თავისი ბედი იმავე მოხელეთა სინიდისს მიანდო, გასაკვირველი არაფერია. ტყუილად არ გაიძახიან ვაჭრები: დღევანდელი ხანა „მექრთამეთა ხანაა“-ო.

კ. მარტვილელი.

---

*) იხილეთ გაზ. „საქართველო“-ს 195 №-ში.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.